# საქართველოს კანონი

## საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 1999 წელი, მუხ. 209) 244-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 244. ფეთქებადი, ადვილაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაწარმის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გამოყენების ან გადაგზავნის წესის დარღვევა**

ფეთქებადი, ადვილაალებადი, მწვავე ნივთიერების ან პიროტექნიკური ნაწარმის აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის ან გამოყენების წესის დარღვევა, აგრეთვე მისი უკანონო გადაგზავნა ფოსტით ან ბარგით, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, –

ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი

თბილისი,

13 დეკემბერი 2024 წ.

N175-Iმს-XIმპ